mayhew georgia

სტერილიზაცია

სტერილიზაცია

რა არის სტერილიზაცია? სტერილიზაცია არის ვეტერინარული პროცედურის დასახელება, რომელიც ცხოველების რეპროდუქციული კონტროლის სამუდამო გადაწყვეტას გულისხმობს (ცხოველი აღარ გამრავლდება), რაც პრაქტიკულად ძუ ძაღლისთვის საკვერცხეების მოშორება, დაკოდვას მოიაზრებს. ეს პროცედურა აღიარებულია, როგორც უსახლკაროდ ან უმეთვალყურეოდ დარჩენილი ცხოველების პოპულაციის მართვისთვის სიცოცხლისათვის არასახიფათო და ჰუმანურ მეთოდად.

რა სარგებელი აქვს სტერილიზაციას?

ჯანმრთელი ცხოველები

სტერილიზაცია აუმჯობესებს თქვენი ცხოველის ჯანმრთელობას სხვადასხვა დაავადებების (პიომეტრა, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები და ასე შემდეგ) და კიბოს განვითარების რისკის შემცირებით ან გაქრობით. ასევე ცხოველებს ეხმარება, რომ არ ჩამოუყალიბდეთ ისეთი არასასურველი ქცევები, როგორიცაა სახლიდან გაქცევის სურვილი და ბოდიალი, სხვა ძაღლებთან ჩხუბის სურვილი. ხშირად ადამიანები ფიქრობენ, რომ ცხოველები ცოდონი არიან ასეთი პროცედურის ჩატარებისთვის, თუმცა ჩვენი მოვალეობაა, რომ ჩვენივე ემოციები არ გადავამისამართოთ ცხოველებზე, რომლებშიც რეპროდუქციული პროცესები მხოლოდ და მხოლოდ ინსტინქტების დონეზე იმართება და არა ემოციების და ხშირად ეს მათთვის საკმაოდ სტრესულიც არის.

ჯანმრთელი საზოგადოება
სტერილიზაციის მნიშვნელოვანი სარგებელი არის ძაღლების პოპულაციის მენეჯმენტი. (ქუჩის ძაღლების რაოდენობის კონტროლი) ყოველ წელს, ასობით ძაღლი რჩება სახლის გარეშე, რის შემდეგაც ხდება მათი გამრავლება და ბევრი ახალი ლეკვების გაჩენა. რეპროდუქციული კონტროლი გამოიყენება რათა შეამციროს და დაასტაბილუროს მათი რიცხვი მისაღებ დონემდე.

როდის უნდა გავასტერილო ჩემი ძაღლი ?

ძაღლის შემთხვევით შეჯვარების ფაქტები ძალიან ხშირად ხდება, მაშინაც კი, როდესაც ძაღლი კარგად შემოღობილ ტერიტორიაზეა, აქვს თავისი დახურული ბუნაგი ან თუნდაც კარგად გაწვრთნილია - არ არის იმის გარანტია, რომ თქვენი ძაღლი არ გაიქცევა ან ამძუნებული ძუ ძაღლი შემოძვრება თქვენს ძაღლთან. თქვენი ძაღლის გასტერილება შესაძლებელია 12 კვირის ასაკიდან და უფრო სასურველია მოხდეს იქამდე, სანამ სქესობრივ სიმწიფეს მიაღწევს, რათა მიიღოთ ს ტერილიზაცია/კასტრაცია. მაქსიმალურად დადებითი შედეგები (სიმსივნეების და სხვა დაავადების განვითარების რისკების შემცირება) გავრცელებულია ისეთი ფრაზა, თითქოს კარგია ძაღლი ერთხელ მაინც შეჯვარდეს - თუმცა ეს ძალიან არასწორი და მოძველებული ფრაზაა და პირიქით, თქვენი ცხოველის სტერილიზაცია, სასურველია მოხდეს უფრო შედარებით ადრეულ ასაკში და აუცილებლად სქესობრივ სიმწიფემდე.

რას ნიშნავს ყურზე საჭდე ?

ანესთეზიის ქვეშ მყოფ ძაღლს ყურზე უმაგრდება საჭდე. საჭდე აღნიშნავს, რომ ძაღლი არის სტერილური და აცრილი ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინით. მეიჰიუ საქართველოს ყურის საჭდე არის ღია მწვანე და აქვს წარწერა - ორი ასო და ციფრები (MG xxxxx) მეიჰიუ საქართველოს ყურის საჭდე აღნიშნავს, რომ ძაღლი ასევე აიცრა ძაღლებში გავრცელებული სხვადასხვა ინფექციური დაავადებების საწინააღმდეგო ვაქცინით.

როგორია პროცედურა

ძუ ცხოველები (სტერილიზაცია / საკვერცხეების ამოკვეთა)

ძუების შემთხვევაში ხდება საშვილოსნოს და საკვერცხეების ამოკვეთა (ოვრაქტომია)

ხვადები (კასტრაცია)

ხვადების შემთხვევაში ხდება სათესლე ჯირკვლების ამოკვეთა.

პროცედურაზე მიყვანილი ყველა ცხოველი გაივლის სამედიცინო შემოწმებას, რათა დავრწმუნდეთ, რომ ისინი საკმარისად ჯანმრთელები არიან, რომ მოხდეს მათზე ოპერირება. მოხდება ძაღლების მოდუნება და ოპერაციის დროს გაუკეთდებათ ანესთეზია, რაც ნიშნავს, რომ ისინი ვერ იგრძნობენ ვერანაირ ტკივილს პროცედურის დროს. ოპერაციას ატარებენ კვალიფიციური და გამოცდილი ვეტერინარი ქირურგები. საკმაოდ მოკლე და გეგმიური პროცედურაა, რის შემდეგაც ძაღლები მალევე იღვიძებენ და იმავე დღესვე დაუბრუნდებიან ჩვეულებრივ მდგომარეობას.

ვაქცინაცია

მეიჰიუ საქართველო ცრის ძაღლებს შემდეგი დაავადებების საწინააღმდეგო ვაქცინით:

ცოფი: ცოფი არის 99,9 % სასიკვდილო ვირუსი, მაგრამ 100 % შესაძლებელია მისი პრევენცია. უმრავლესობა ცოფის შემთხვევების ადამიანებში მოდის დაინფიცირებული ძაღლებისგან და დადასტურებულია, რომ ყველაზე კარგი მეთოდი, რათა თავიდან იქნეს არიდებული ადამიანების სიკვდილიანობა, არის ძაღლების მასობრივი ვაქცინაცია.

ძაღლებში გავრცელებული ინფექციური დაავადებები: კომპლექსური ვაქცინა იცავს ძაღლებს პარვოვირუსისგან, ჭირისგან, ინფექციური ჰეპატიტისგან და ლეფტოსპიროსისგან (რომელიც შეიძლება გადაედოთ ადამიანებსაც)
ერთი ან ორი დოზა, გააჩნია ძაღლის ასაკს.

პარაზიტების კონტროლი

თქვენი ძაღლების პარაზიტებისგან დაცვა ძალიან მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ ძაღლი იყოს ჯანმრთელი და დაცული საქართველოში გავრცელებული სხვადასხვა -პარაზიტების (ტკიპა, კოღო, რწყილი) ვექტორული დაავადებებისგან, როგორებიცაა, ერლიხიოზი, ანაპლაზმოზი, გულის ჭია, მრგვალი ჭია, რწყილის ინვაზიები, ლეიშმანიოზი და ასე შემდეგ.

მეიჰიუ საქართველო ამ მომსახურეობებს ახორციელებს უფასოდ და სრულად ფინანსდება საზოგადოებრივი შემოწირულობებით.

თუ გსურთ შემოწირულობის განხორციელება, რათა ჩვენ შევძლოთ ამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საქმის კეთება, გთხოვთ ქვემოთ იხილეთ ჩვენი საბანკო მონაცემები.

საქართველოს ბანკი:
ანგარიში : GE38BG0000000161301911
მიმღები: მეიჰიუ საქართველო

mayhew georgia

საიდ. კოდი:. 404561354
საქართველო, თბილისი. მთაწმინდის რა-ნი, დ. ყიფიანის ქუჩა, 2 სართული , ბინა 8
georgia.themayhew.org

NGO KAKHETI